

## ინზა ჯიბუბი

### ამონებლოზის ერთი აფიქსის შესახებ ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში

როგორც ცნობილია, ქართულში სიტყვაწარმოება ლექსიკის გამდიდრების ყველაზე გავრცელებული საშუალებაა: დერივაციული მნიშვნელობის მქონე ესა თუ ის აფიქსი დაერთვის სიტყვის ფუძეს, რომელთანაც დაკავშირებულია ამოსავალი ლექსემის საგნობრივი მნიშვნელობა, უცვლის მას სემანტიკას და ვიღებთ სიტყვათა ნაირგვარ ლექსიკურ ვარიაციებს, სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფებს.

აფიქსების მეშვეობით სიტყვების მიღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის ცნებათა სახელდებისას. ქართული ენის მდიდარი სიტყვაწარმოებითი საშუალებები ადვილად იძლევა ახალ ცნებათა ენობრივად გამოხატვის, ანუ ახალი ტერმინის შექმნის შესაძლებლობას. ამიტომაც, რომ ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში ტერმინთა დიდ პროცენტს სწორედ ნაწარმოები სიტყვები ქმნის.

ცნობილია, რომ ტერმინოლოგია ძირითადად საერთო ენის სიტყვაწარმოების სისტემას ემყარება და თავისი ლექსიკის გასამდიდრებლად ქართულ სალიტერატურო ენაში არსებულ ყველა ნაცად საშუალებას იყენებს. არ არის დარჩენილი სალიტერატურო ქართულის არც ერთი აფიქსი, რომელიც ტერმინოლოგიაში არ გამოიყენებოდეს. უფრო მეტიც, ტექნიკისა და მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როცა უჩვეულო რაოდენობით ჩნდება ახალი ცნებები და ამასთან დაკავშირებული ახალი ტერმინები, ტერმინოლოგიაში სალიტერატურო ქართულთან შედარებით ახალი საშუალებების გამოყენება და სიტყვათა წარმოების სხვა ოპერაციების ჩატარება ხდება საჭირო. სწორედ ამ საჭიროებით აიხსნება ის ფაქტიც, რომ ტერმინოლოგია ზოგჯერ გარკვეული დანიშნულების აფიქსებს თავისებურად იყენებს, თუ შეიძლება ითქვას, თავის „ინტერესებს უქვემდებარებს“: ამ აფიქსებს ხან დამატებით ფუნქციებს უჩენს, ხან სინონიმურ აფიქსებს შორის მნიშვნე-

ნელობებს ანაწილებს, ხან კი ნაკლებბროდუქტიულ თუ მკვდარ აფექსებს აღადგენს<sup>1</sup>.

ერთ-ერთ ასეთ აფექსს, რომელსაც ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოება გარკვეული ფუნქციის შესასრულებლად აღადგენს, მქონებლობის -ედ სუფიქსი წარმოადგენს.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ -ედ სუფიქსი ძველ ქართულში მოქმედი სუფიქსი იყო, რომელიც მქონებლობის სახელთა საწარმოებლად გამოიყენებოდა.

-ედ სუფიქსის მქონებლობის დანიშნულებაზე და მის იშვიათ გავრცელებულობაზე მიუთითებდა ა. შანიძე ჯერ კიდევ 30-იან წლებში<sup>2</sup>. იგი აღნიშნავდა, რომ -ედ სუფიქსი, რომელიც მნიშვნელობით -იერ-ს უახლოვდება, სულ რამდენიმე სიტყვაში იხმარებოდა (კარედი, თვალედი, კუთხედი, უჯრედი, მუხლედი).

„ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“<sup>3</sup>, სადაც ცოტა უფრო ვრცელი მსჯელობაა მოცემული ამ სუფიქსის შესახებ, ზემოთ ჩამოთვლილ სიტყვებს ემატება სხვა მაგალითებიც: „უარედი, ხატედი (სახიანი), ფესუედი, შარავანდედი (შარავანდი — მეფის გეორგინი, აქედან: შარავანდედი — გვირგვინოსანი მეფე)“<sup>4</sup>. აქვე ნათქვამია ისიც, რომ ეს სუფიქსი ახალ ქართულში საზოგადოდ მკვდარია და რომ არის ცდა მისი გაცოცხლებისა.

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ, მიუხედავად იმისა, რომ -ედ სუფიქსს სხვა სუფიქსებთან შედარებით ნაკლები სამოქმედო ასპარეზი აქვს, იგი სხვადასხვა მეტყველების ნაწილებთან გვხვდება: მიმღეობებში, ზედსართავებში, რიცხვით სახელებში, არსებით სახელებში<sup>5</sup>. იქვე დასახელებულია სათანადო ნიმუშებიც:

-ედ მიმღეობებში:

მო-რბ-ედ-ი (ზმნისაგან რბ-ი-ს)

მო-ქმ-ედ-ი (ზმნისაგან ი-ქმ-ს).

-ედ ზედსართავ სახელებში:

ფესუ-ედ-ი (= ფესვ-იან-ი)

სამქორ-ედ-ი (= სამსართულიან-ი)

ეტლის თუალ-ედ-ი (= ეტლის თვლებიანი, ბორბლებიანი)<sup>6</sup>.

<sup>1</sup> ტერმინოლოგიაში ამ აფექსთა თავისებური ფუნქციური დატვირთულობას შესახებ იხ. რ. ლაშაშვილის ნაშრომი „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“, თბ., 1986, გვ. 131—140.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, 1930, გვ. 58.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1960, გვ. 125.

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 97—99.

<sup>5</sup> მასალა ძირითადად ამოკრებილია ძველი ქართული ხელნაწერი თუ გამოცემული ლიტერატურიდან.

არსებითი სახელების ნიმუშად მოყვანილია მაგალითები სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიდან<sup>6</sup>. მაგალითების მეტი წილი ლექსიკონში გამოყენებულია სიტყვათა განმარტებისას:

შტო-ედ-ი (=შტობიანი)

კავო-ედ-ი (=კავებიანი)

ბორჯღლ-ედ-ი (=კაპებიანი)

ყბ-ედ-ი (=ყბებიანი)

გოდლ-ედ-ი (=გოდლებიანი).

იქვეა აღნიშნული ისიც, რომ დასახელებულ მაგალითებში -ედ სუფიქსი -იან-ის მაგვირობას ეწვევ<sup>7</sup>.

არსებითი სახელებიდან არს. ჩიქობავა ცალკე გამოყოფს სიტყვებს **ბრძმედსა და ღუედს**, სადაც, მისი აზრით, სუფიქსის გამოყოფა შესაპირისპირებელ ნაწარმოებ ფუძეთა უქონლობის გამო არ ხერხდება.

ამ -ედ სუფიქსს უკავშირებს გენეტურად არს. ჩიქობავა წილობით რიცხვით სახელებში (მესამედი, მეხუთედი) სუფიქსურ ელემენტს<sup>8</sup>.

საყურადღებოა ასევე არს. ჩიქობავას მიერ ადგილის საწარმოებელ -ეთ სუფიქსის -ედ-თან დაკავშირება და მნიშვნელობით მისი -იან, -ოვან სუფიქსებთან გათანაბრება<sup>9</sup>. ამავე აზრს იზიარებს ა. მარტიროსოვიც, რომლის მიხედვითაც -ედ სუფიქსი, რომელიც ერთ-ერთი უძველესი სუფიქსთაგანია სალიტერატურო ენაში, შემონატანი ჩანს ქართლის ძირითადი და მასაზრდოებელი დიალექტიდან. ა. მარტიროსოვის აზრით, მისი სიძველის მანიშნებელია ისიც, რომ გენეტურად და თავდაპირველი მნიშვნელობითაც -ედ ამოსავალ სახეობად შეიძლება მივიჩნიოთ ადგილის სახელთა საწარმოებელი -ეთ სუფიქსისა<sup>10</sup>.

საგანგებო მსჯელობაა -ედ სუფიქსის ტერმინოლოგიურ ლექსიკაში ხმარების შესახებ მ. ტუსკიას ნაშრომში, სადაც ამგვარი წარმოების რამდენიმე დამატებითი ნიმუშია დასახელებული<sup>11</sup>. ავტორის ცნობით, ქართული ენის დიალექტებში -ედ სუფიქსი ძალიან იშვიათად დას-

<sup>6</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928 წ.

<sup>7</sup> არს. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 97.

<sup>8</sup> არს. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

<sup>9</sup> არს. ჩიქობავა, ადგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში, ივე, XIX, 1974, გვ. 70.

<sup>10</sup> ა. მარტიროსოვი, სუფიქსებით წარმოქმნილ სახელთა ერთი ჯგუფი ძველ ქართულში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, № 1, გვ. 111—112.

<sup>11</sup> მ. ტუსკია, სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, საკანდ. დისერტ., 1975, გვ. 48.

ტურდება, იგი არც უცხო ენიდან მომდინარე ფუძეს არ დაერთვის და ვერც წარმოქმნილი სახელების ხელახალი მაწარმოებლის როლში გვევლინება.

ამ სუფიქსზე მსჯელობა სპორადულად სხვა ავტორებთანაც გვხვდება<sup>12</sup>.

ამგვარად, მიმოხილული ლიტერატურიდან ცხადი ხდება, რომ -ედ სუფიქსი: ა) ისტორიულად ძველი სუფიქსია (VI—X საუკუნეების ძეგლებში სპორადულად იხმარებოდა), ბ) მას მქონებლობის დანიშნულება ჰქონდა, გ) იგი ფართოდ აქვს გამოყენებული სულხან-საბა ორბელიანს, დ) ამ აფიქსის გამოყენება წმინდა მწიგნობრული მოვლენაა (იგი დიალექტებში არ გვხვდება) და ე) მხოლოდ საკუთრივ ქართულ ძირებთან იხმარება.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ -ედ სუფიქსით ნაწარმოები სიტყვები ორ ჯგუფს ქმნის:

ა) ამოსავალი ფუძე არსებითი სახელია, ხოლო ნაწარმოები სიტყვა — ზედსართავი:

ყურ-ედ-ი	იგივეა, რაც ყურიანი
ჯვარ-ედ-ი	ჯვარის სახისა, ჯვარედინი
თვალ-ედ-ი	ბადის მსგავსი (დ. ჩუბინ.). <b>ღ თვალედი ბეჭედი</b> ძვირფასთვლებიანი ბეჭედი
ფიცრ-ედ-ი	იგივეა, რაც ფიცრული (თუმცა გასუბსტანტივებული მნიშვნელობითაც გვხვდება)
კარვ-ედ-ი	კარვიანი ადგილი
ბორჯღლ-ედ-ი	იგივეა, რაც ბორჯღლიანი, გაშლილი ტოტების მქონე.
ფერხ-ედ-ი	იგივეა, რაც ფეხედი, ფეხების მქონე, ფეხებიანი (ფეხებიანი ფიცარი, იხ. საბა: ლოგინი)
კუდ-ედ-ი	„კუდის მქონებელი“ (საბა), კუდიანი
შუა-ლ-ედ-ი	შუა პერიოდი, შუა საფეხური, შუალა <sup>13</sup> .

ბ) ამოსავალი ფუძეც და ნაწარმოები სიტყვაც არსებითი სახელებია:

ქორ-ედ-ი	შენობის ზემო სართული
ვარსკვლავ-ედ-ი	სამოსელი ოქრომკედლი ნაკერი

<sup>12</sup> რ. გაბეჩავა, ქართული სიტყვათწარმოება და მისი სწავლება სკოლაში, თბ., 1971, გვ. 46—50.

<sup>13</sup> აქაც და შემდეგაც მაგალითები „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რეატომეულის მიხედვითაა დამოწმებული (1960—1964).

ფესვ-ედ-ი	ქალის გრძელი სამოსელი (დ. ჩუბინ.)
ქეც-ედ-ი	იგივეა, რაც ქერცლი
თალ-ედ-ი	რამდენიმე თალი ერთად
კამარ-ედ-ი	კამარათა რიგი
პწკარ-ედ-ი	პწკარების (სტრიქონების) მიხედვით, სიტყვასიტყვითი თარგმანი რაიმე ტექსტისა
თარო-ედ-ი	ეტაჟერი
ფრთ-ედ-ი	1. ფლიგელი; 2. „ჩარდახი გადმოკიდებული“ (საბა), აივანი (დ. ჩუბინ.).
ჩონჩხ-ედ-ი	კარკასი
ლიბრ-ედ-ი	მუქი ფერი, საშუალო თეთრსა და შავს შორის
წრ-ედ-ი	გამტართა სისტემა, რომელიც დენის წყაროსთან ერთად ქმნის ელექტრობის გავლის გზას
მრჩობლ-ედ-ი	ლექსთწყობა, რომელშიც ერთმანეთს ერთიმემა ყოველი ორი მეზობელი სტრიქონი.

ცალკე უნდა გამოიყოს პოლიგრაფიული ტერმინები: **წერტილ-ედ-ი** და **წინწკლ-ედ-ი**, რომლებიც ზედსართავის მნიშვნელობითაც იხმარება და არსებითისაც; 1. დაწინწკლული, წინწკლებიანი, 2. წიგნის შემონაჭრის შეფერილობა საღებავის წვრილი წინწკლებით.

როგორც ვხედავთ, ქეგლ-ში შესული ეს მასალა ძირითადად ან ისტორიულ სურათს ასახავს, ძველი ლიტერატურისა თუ სიტყვათხმარების ნიმუშს წარმოადგენს, ანდა ტერმინოლოგიური ხასიათისაა და ქეგლ-ში სპეციალური ლექსიკიდანაა მოხვედრილი.

რა ვითარებაა -ედ სუფიქსის ხმარების თვალსაზრისით სამეცნიერო ტერმინოლოგიაში?

ტერმინოლოგიურ ლექსიკაში -ედ სუფიქსი იფართოებს გამოყენების სფეროს და სემანტიკურადაც ახალ ჯგუფებს ქმნის. 1977 წ. გამოცემულ ტექნიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონში ასეთი მაგალითები გვხვდება:

- თალ-ედ-ი аркада
- კუთხ-ედ-ი გონიო угольник
- წრ-ედ-ი цепь<sup>2</sup>
- ჩონჩხ-ედ-ი каркас
- თანაჯარსკვლავ-ედ-ი созвездие
- რიკულ-ედ-ი балясник
- უჯრ-ედ-ი клетка; ячейка

ჯვარ-ელ-ი крестовина  
კარ-ელ-ი лапорты  
ყალიბკუთხ-ელ-ი наугольник.

გვხვდება ძველი წარმოების სიტყვებიც:

მორბ-ელ-ი бегунок  
ქმ-ელ-ი, აქედან: ტოლქმ-ელ-ი равнодействующий  
ბლანტქმ-ელ-ი (ბლანტქმელი მანომეტრი вязкостный манометр)  
და სხვ.

იშვიათად ამავე ტერმინოლოგიაში გვხვდება ისეთი სიტყვებიც, რომელთაც -ედ სუფიქსთან ერთად სინონიმური ფუნქციის მქონე -ოვან, -იან სუფიქსებიც აქვთ დართული, ე. ი. გვაქვს ორმაგი წარმოების შემთხვევები:

უჯრ-ელ-ოვან-ი ячийстый  
უჯრ-ელ-(ებ)-იან-ი ячийковый; клетчатый.

ამ სიტყვებში -ედ სუფიქსის სემანტიკა დაჩრდილულია და საჭირო გამხდარა მეორედ ვაფორმება.

ამგვარი წარმოების შემთხვევები გვაქვს სხვა დარგებს ტერმინოლოგიებშიც, მაგალითად,

გეოგრაფიაში: გრძ-ელ-ი და გან-ელ-ი  
ბიოლოგიაში: უჯრ-ელ-ი, ყვავილ-ელ-ი  
გეომეტრიაში: სამკუთხ-ელ-ი, ოთხკუთხ-ელ-ი, სწორკუთხ-ელ-ი, მრავალკუთხ-ელ-ი, მართკუთხ-ელ-ი.

ახალი წარმოებისაა განათლების სისტემაში გამოყენებული სიტყვები: ოთხწლ-ელ-ი, შვიდწლ-ელ-ი, რვაწლ-ელ-ი, ცხრაწლ-ელ-ი, ათწლ-ელ-ი, სოციალურ-პოლიტიკურ ლექსიკაში — ხუთწლ-ელ-ი, შვიდწლ-ელ-ი და სხვ.

მაგალითების სემანტიკური ანალიზის შედეგად აშკარა ხდება, რომ: ა) ტერმინოლოგიაში -ედ სუფიქსი შედარებით მეტი ინტენსივობით ხასიათდება, თანაც, ბ) -ედ სუფიქსს ყოველთვის არა აქვს მქონებლობის ფუნქცია და იგი სახელის კატეგორიის სიტყვათა საწარმოებლად იხმარება (ჩონჩხ-ელ-ი, თანავარსკვლავე-ელ-ი, წრ-ელ-ი, გრძ-ელ-ი, გან-ელ-ი) და არა ზედსართავეებისა, გ) ქიმიის ტერმინოლოგიაში -ედ სუფიქსს სხვადასხვა მარტილების (კერძოდ, უყანგბადო მყავათა მარილების) ერთი ჯგუფის საკლასიფიკაციო ნიშნის გამოხატვის ფუნქცია

აქვს დაკისრებული: ნიკელდარიზხან-ედ-ი, ნიკელგოგირდ-ედ-ი, ურან-  
ნახშირ-ედ-ი, ლითიუმკაუბად-ედ-ი და სხვ.<sup>14</sup>

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ზემოაღნიშნული -ედ სუფიქსით ნაწარ-  
მოებმა ამ ფორმებმა სპეციალისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობა  
გამოიწვია და უმრავლესობამ მათ ნაცვლად საერთაშორისო ვარიანტე-  
ბი ირჩია. სწორედ ამიტომ მოხდა, რომ ტექნიკური ტერმინოლოგიის  
ბოლო (1977 წ.) გამოცემაში ქიმიის ტერმინოლოგიის ეს ფორმები სა-  
ერთოდ არ შესულა. ამის მიზეზი ძირითადად -ედ სუფიქსის სემანტი-  
კური ბუნდოვანება და წარმოების ხელოვნური ხასიათი იყო.

ამგვარად, ტერმინოლოგიური მასალის ანალიზი გვარწმუნებს იმა-  
ში რომ -ედ სუფიქსის სემანტიკურმა ფუნქციამ გარკვეული ტრანს-  
ფორმაცია განიცადა. ისტორიულად თუ იგი მქონებლობას გამოხა-  
ტავდა, ტერმინოლოგიურ ლექსიკაში იგი ახალი სიტყვის — ძირითა-  
დად არსებითი სახელის საწარმოებელ ენობრივ ინვენტარად იქცა.

უთუოდ გაფართოვდა მისი ხმარების სფერო, თუმცა გარკვეული  
შეზღუდულობა, რომელიც მას თავიდანვე ახლდა, დღევანდელ ტერმი-  
ნოლოგიურ პრაქტიკაშიც საგრძნობია.

-ედ სუფიქსის ფუნქციური დატვირთულობისა და სიტყვის შინაგან  
ფორმასთან მიმართების გარკვევა ტერმინოლოგიაში ცალკეულ შემ-  
თხვევათა საგანგებო შესწავლას საჭიროებს.

---

<sup>14</sup> ამგვარი წარმოების სიტყვები ქიმიის ტერმინოლოგიაში სინონიმებადაა მა-  
წერილი საერთაშორისო დასახელებებთან (ნიკელარსენიდი, ნიკელსულ-  
ფიდი, ურანკარბიდი, ლითიუმსილიციდი და სხვ.).